ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რაციონალიზატორები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში



საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ტექნიკური პროგრესის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის გამომგონებლებს, რაციონალიზატორებსა და წარმოების ნოვატორებს, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს შვიდწლიანი ვალდებულებანი და რაციონალიზატორთა ფონდში შეიტანეს 104.7 მილიონი მენეთი, ნაცვლად გადიდებული ვალდებულებით ნაკისრი 100 მილიონი მანეთისა. გასული შვიდწლედის მანძილზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაინერგა 102 ათასი რაციონალიზატორული წინადადება და 174 გამოგონება.

სურათზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე, ერთ-ერთი საუკეთესო გამომგონებელი გ. ქურდიანი.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



რესპუბლიკის ნოვატორებმა, რომლებიც საქმით უპასუხებენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებსა და გააჩაღეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრება, 1966 წლის ათი თვის მანძილზე ხუთწლედის ფონდის ანგარიშში შეიტანეს 14 მილიონ მანეთზე მეტი. მაშინ როცა წლიური ვალდებულებით უნდა შეიტანონ 19 მილიონი მანეთი.

სურათზე: ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის რაციონალიზაციისა და გამოგონების ბიუროში განიხილავენ წამოყენებულ რაციონალიზატორულ წინადადებებს. მოხსენებას აკეთებს რაციონალიზაციისა და გამოგონების ბიუროს უფროსი ინჟინერი ნ. ჩარკვიანი.

ფურცელი 2

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარხნის მოწინავე გამომგონებლები და რაციონალიზატორები (მარცხნიდან მარჯვნივ): გ. ოცხელი, ს. ქოქოსაძე, გ. თვალთვაძე, ი. მოშიაშვილი და ი. კაჭუხაშვილი.



ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედებითს გაერთიანებებს. ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის, გამწყობის ი. ხაზარაძის თაოსნობით შეიქმნა რაციონალიზატორთა 13 შემოქმედებითი ბრიგადა. მარტო ორი წლის მანძილზე მათ წარმოებაში დანერგეს 600-მდე რაციონალიზატორული წინადადება. რამაც შეადგინა ამ ხნის მანძილზე საწარმოს მიერ მოპოვებული მთელი ეკონომიის 30 პროცენტი.



სურათზე: საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი იოსებ ხაზარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიდი ოქტომბრის 49-ე წლისთავის წინ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის რაციონალიზატორებმა სამშობლოს უპატაკეს წლიური ვალდებულების შესრულება. მათ დაზოგეს 37 ათას მანეთზე მეტი, 90 ტონამდე შავი ლითონები, 3 500 ნორმა-საათი.

სურათზე: კონსტრუქტორები შ. იორამაშვილი, ბ. გუგეშაშვილი და კ. გონაშვილი. მათ მიერ წამოყენებულმა ოთხმა წინადადებამ მთელი რიგი სპეციალური ჩარხების ელექტრომოწყობილობისა და ჰიდრავლიკის კონსტრუქციათა გაუმჯობესების შესახებ ქარხანას მისცა 4 ათასი მანეთი წლიური ეკონომია.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახეხი ჩარხების ქარხნის მექანიკური უბ-ნის ტექნოლოგიური ბიუროს უფროსი რ. დვალი

ბევრი საყურადღებო ნოვატორული წინადადებანი წამოაყენეს თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის რაციონალიზატორებმა. ქარხნის მექანიკური უბნის ტექნოლოგიური ბიუროს უფროსმა რომეო დვალმა 1966 წელს წარმოებაში დანერგა 13 რაციონალიზატორული წინადადება, რამაც ქარხანას 1.400 მანეთი დაუზოგა წელიწადში.



ქარხნის კიდევ ერთი რაციონალიზატორი-ბრიგადირი შ. როზენფელდი, მისი წინადადება „ზა-110" ჩარხის ელექტრომოწყობილობის კონსტრუქციის შეცვლა" 455 ნორმა-საათით ამცირებს მუშაობის შრომატევადობას

ელექტრონული
ბიბლიოთეკა



წელს უკვე 60 ათას მანეთზე მეტი დაზოგეს თბილისის „პლასტმასების" ქარხნის რაციონალიზატორებმა. აქედან 13.960 მანეთი ა. ე. თევდორაშვილის ანგარიშზეა. მან დანერგა რაციონალიზატორული წინადადება „პრესმასალის შეცვლა ტრნ-20" დეტალების დამზადების დროს". ხოლო ამხ. რურუას წინადადების—„ექსცენტრიკის დეტალების დამუშავების ტექნოლოგიის შეცვლის"—დანერგვის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ დაახლოებით 3 ათასი მანეთი შეადგინა.

სურათზე: „პლასტმასების" ქარხნის რაციონალიზატორები თევდორაშვილი და რურუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ნედლეულისა და დამხმარე ეკონომია, შრომის ნაყოფიერების გადიდება—თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის ნოვატორთა ყურადღების ცენტრში.

ფაბრიკას 4.500 მანეთი წლიური ეკონომია მისცა და 4,4 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება № 5 სამკერვალო საამქროს უფროსის ა. მელიქოვის წინადადებამ. ა. მელიქოვმა შეცვალა ბავშვის პალტოს ბორტების დამუშავების მეთოდი.

სურათზე: საამქროს უფროსი ა. მელიქოვი და მთავარი ინჟინრის მოადგილე ი. გაგუა თვალს ადევნებენ ბორტების ახალი მეთოდით დამუშავებას.

ფურცელი 7

საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში სულ უფრო ფართოდ იყენებენ ქიმიის მიღწევებს. აქ ქიმიური ლაბორატორიის უფროსის ი. ბერძენიშვილის წინადადებით დანერგილია პიროსულფატის წესით ბუნებრივი აბრეშუმის გადახარშვის ახალი მეთოდი. ამან გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და საწარმოს მნიშვნელოვანი ეკონომია მისცა.

სურათზე: ქიმიური ლაბორატორიის უფროსი ი. ბერძენიშვილი ამოწმებს პიროსულფატის მეთოდით გადახარშული ბუნებრივი აბრეშუმის ხარისხს.

ფურცელი 8 საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



1.600 კილოგრამი ძვირფასი ფერადი ლითონი—ბრინჯაო—ყოველწლიურად იზოგება თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის № 1 მექანიკურ-საამწყობო საამქროს ოსტატების ა. გუგუტიშვილის, ნ. დონდუასა და ბ. ვოლქანის წინადადების შედეგად, რომლებმაც შეცვალეს ჩობალის ხუფის კონსტრუქცია.

სურათზე: რაციონალიზატორები ა. გუგუტიშვილი, ბ. ვოლქანი და ნ. დონდუა აწყობენ ჩობალების ხუფებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველწლიურად იზრდება წარმოების ნოვატორთა რიცხვი თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანში". 1966 წლის 9 თვის მანძილზე აქ დაინერგა 82 რაციონალიზატორული წინადადება და 2 გამოგონება. ფაბრიკის ტექნოლოგებმა რ. კარახანოვმა და უ. საჯირიშვილმა წარმოებაში დანერგეს თავიანთი წინადადება—პოლიეთილენის კალაპოტების დამზადების ახალი წესი, რომელიც საწარმოს ყოველწლიურად 25,5 ათას მანეთს დაუზოგავს.

სურათზე: გამომგონებლები უ. საჯირიშვილი და რ. კარახანოვი მუშაობის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნოვატორი ზეინკალი შ. მანჯავლაძე თავის ჩარხზე ამუშავებს ცეცხლგამძლე მუფელს



ქარხანაში კიდევ ერთი სიახლეა. ეს არის რაგდოპისიფუენილის პრესუხენილის საწარმოო საცდელ-სამრეწველო დანადგარი, რომლის მწარმოებლობაა 2 ათასი ტონა წელიწადში

ცეცხლგამძლე მუფელის ჭრა ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში, როგორც იტყვიან, ლოდი შებრკოლებისა იყო: ოპერაცია წარმოებდა ხელით, მუფელები ხშირად მწყობრიდან გამოდიოდა, ტყდებოდა. ზეინკალმა შ. მანჯავლაძემ შექმნა ახალი ჩარხი ცეცხლგამძლე მუფელის ჭრისათვის. ამის შედეგად ქარხანას არც ერთი წუნდებული მუფელი არ გამოუშვია, ხოლო საწარმოს დაეზოგა 2 ათასი მანეთი.



მექანიკოსი გ. კვირკველია ათვალიერებს ახალი კონსტრუქციის ხელსაწყოს

ოსტატი ლ. ჭუმბურიძე ესაუბრება ქუთაისის მინისტარის ქარხნის მექანიკური საამქროს უფროსს ს. გალოლოვს ცხელი ქილების მექანი-კური გადამღებელის მუშაობაზე



ქუთაისის მინისტარის ქარხნის მექა-ნიკოსმა გ. კვირკველიამ შეიმუშავა გა-დამღებელის საბრუნი თავის ახალი კონ-სტრუქცია, ხოლო ოსტატმა ლ. ჭუმბურიძემ —ცხელი ქილების მექანიკური გადამღებე-ლი. მარტო ამ ორმა წინადადებამ ქარხა-ნას მისცა 7 ათას მანეთზე მეტი წლიური ეკონომია, გარდა იმისა, რომ მათ მნიშ-ვნელოვნად შეუმსუბუქეს მუშებს შრომა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



აგარის შაქრის ქარხანაში დანერგილია ტექნოლოგ შ. კიტოვანის გამოგონება „პრესდიფუზორი“. ამ გამოგონების შედეგად მთლიანად მექანიზებულია ხილის დამუშავება, ორჯერ გადიდდა პროდუქციის გამოსავლიანობა. შ. კიტოვანის გამოგონების დანერგვის შედეგად ქარხანა ზოგავს 149.3 ათას მანეთს წელიწადში.

სურათზე: კომბინატის დირექტორი ი. ჯაბუციძე (მარჯვნივ) და ტექნოლოგი შ. შიურაშვილი თვალს ადევნებენ დიფუზიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შვიდწლედის მანძილზე 7.4 მილიონი მანეთი შეიტანეს რაციონალიზატორულ ფონდში აჭარის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა, რომლებმაც თითქმის ორჯერ გადააჭარბეს პირვანდელ ვალდებულებას.

ბათუმის კოფეინის ქარხანაში ნაყოფიერად მუშაობს საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიურო, რომელსაც ინჟინერ-ტექნოლოგი ბ. ბოჭორიშვილი მეთაურობს. კონსტრუქტორების წინადადებათა დანერგვის შედეგად ქარხანამ 202 ათასი მანეთი დაზოგა წელიწადში.

სურათზე: ბათუმის კოფეინის ქარხნის საზოგადოებრივ საკონსტრუქტორო ბიურო.

ფურცელი 14

საქტესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის მირდატ აკოფოვის სახელს კარგად იცნობენ ჩვენს რესპუბლიკაში. თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის წარმოების ნოვატორის მ. აკოფოვის საყურადღებო რაციონალიზატორული წინადადებებისა და ორიგინალური გამოგონებების შედეგად ქარხანამ ათასობით მანეთი დაზოგა.

სურათზე: მ. აკოფოვი მუშაობის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხნის რაციონალიზატორმა ლომთაძემ წამოაყენა წინადადება, რომ ელექტროკარის ბაქნის აწევის მექანიკური ამძრავი შეეცვალათ ჰიდრავლიკური ამძრავით. ამ სიახლის დანერგვის შედეგად მანქანის ტვირთამწეობა 750 კილოგრამიდან 1 ტონამდე გაიზარდა.

სურათზე: ჰიდრავლიკური ამძრავიანი ახალი ელექტროკარები.



საქლეხის ფოტოქრონიკა



აფხაზეთის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა გასულ შვიდწლედში სახელმწიფოს დაუზოგეს 10 მილიონი მანეთი. ახალ ხუთწლედში მათ იკისრეს ვალდებულება შეიტანონ წინადადებანი, რათა სრულყონ წარმოება და სახელმწიფოს დაუზოგონ 5 მილიონი მანეთი.

სურათზე: სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის ქარხნის რაციონალიზატორთა ჯგუფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მეშახტე-ნოვატორებმა ვალდებულება იკისრეს შექმნან ხუთწლედის რაციონალიზატორული ფონდი 2 მილიონი მანეთის ოდენობით. ეს ვალდებულება წარმატებით სრულდება.

სურათზე: ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის საუკეთესო რაციონალიზატორები მოწინავე გვირაბგამყვანები ს. გოგავა, ს. მჭედლიძე, ვ. კახურაშვილი, ა. მაგდალიანოვი და ნ. აილინოვი ცვლის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის ზეინკალი ზ. თადტაევი, რომელმაც შეიმუშავა პარკეტის სატორსავი დაზგა. ეს სიახლე კომბინატს 3 ათას მანეთ წლიურ ეკონომიას აძლევს

შვიდწლედის მანძილზე კარგად იმუშავეს სამხრეთ-ოსეთის წარმოების მოწინავე მუშაკებმა. მათ 1959—1965 წლებში სახელმწიფოს დაუზოგეს 485,1 ათასი მანეთი, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 400 ათასი მანეთისა. სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს საქმით უპასუხებენ ოლქის რაციონალიზატორები და გამომგონებლები, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ახალი ხუთწლედის ფონდში შეიტანონ 300 ათასი მანეთი.



ცხინვალის „ელექტროვიბრომანქანის“ ქარხნის მღარავი მ. კოკოევი. რომელმაც შეცვალა „200-ბრა“ ტიპის ვიბრომანქანის კონუსების და მზადების ტექნოლოგია-

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ დამსახურებულმა გამომგონებელმა, თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის მექანიკოსმა ე. სოლომკომ 110-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება შეიტანა, რომელთა დანერგვის შედეგად თამბაქოს წარმოებაში უკვე მიღებულია მილიონნახევარზე მეტი მანეთი მოგება.

სურათზე: საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი ე. დ. სოლომკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ოსტატის თანაშემწემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა რაციონალიზა-ტორმა ალექსანდრე მიხეილის ძე ხუციშვილმა დანერგა 28 რაციონალიზატორული წინადადება, ამის შედეგად კომბინატმა 76 ათას მანეთზე მეტი დაზოგა.

სურათზე: საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი ა. ხუციშვილი.

ფურცელი 22

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



შესანიშნავი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" მსოფლიოში პირველად შექმნეს ქართველმა კონსტრუქტორებმა და მუშებმა. ამ მანქანის შექმნის პროცესში, რომელსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, გამოყენებული იყო შ. კერესელიძის, ჰ. ედიბერიძის, ლ. ნასარიძის, ა. ჭუმბურიძისა და სხვა სპეციალისტების გამოგონებანი.

სურათზე: ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" პლანტაციებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩვენს რესპუბლიკაში არის სრულიად საკავშირო რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საზოგადოების 800-ზე მეტი პირველადი ორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებენ 52,5 ათას წევრს. საწარმოებში შექმნილია 255 რაციონალიზატორთა შემოქმედებითი ბრიგადა, 127 ნოვატორთა საბჭო, 31 საპატენტო ექსპერტიზის საზოგადოებრივი ბიურო. მუშაობა დაიწყო საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილმა საქართველოს პატენტთმცოდნეობის ინსტიტუტმა.

სურათზე: სრულიად საკავშირო გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული საექსპერტო-სამართლებრივი სექციის კონსულტანტები (მარცხნიდან მარჯვნივ): ს. დაშევსკი, ვ. კოზენი, ვ. გრეინი, ე. ლომაძე და ფ. ფაკეევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„სრულიად საკავშირო გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების რესპუბლიკური ორგანიზაცია ფართოდ და უნარიანად აბამს მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ საზოგადოებრიობას წარმოების სრულყოფისა და ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხების გადაჭრაში, უნერგავს მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს შრომისადმი მაღალ შეგნებულობასა და შემოქმედებითს დამოკიდებულებას".

*(საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მისალმებიდან სრულიად საკავშირო გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების II რესპუბლიკური ყრილობისადმი).*

სურათზე: სრულიად საკავშირო გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებულ პატენტთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მორიგი სხდომა.

ფურცელი 25

საქდესის ფოტოქრონიკა